10037
ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 დეკემბერი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 230 (9641) ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



გასულ ოთხშაბათს ბრემენში „ვერდერისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩმა უეფა-ს თასისათვის მთელ საფეხბურთო სამყაროში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. შთაბეჭდილებას და ფოტორეპორტაჟს განვლილი მატჩიდან გთავაზობთ ჩვენი გაზეთის მე-3 გვერდზე.

# მწვრთნელთა ატესტაცია

ატესტაციის მნიშვნელობა ყველას კარგად მოეხსენება. კადრების ხარისხის შეფასებას ყველა სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. გამონაკლისი არც ფიზკულტურა და სპორტი გახლავთ.

მწვრთნელთა ატესტაცია კარგა ხანია წესად იქცა. მაგრამ ახლა სულ სხვა პირობებში ვცხოვრობთ, მოთხოვნებიც სულ სხვაა და რადიკალურად განსხვავებული მიდგომაა სპეციალისტებისადმი. უნდა ვაღიაროთ, ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში კადრების ატესტაცია ჯერ კიდევ არ იძლევა სასურველ სურათს. მართალია, ამას დრო სჭირდება, მაგრამ, თუ ამთავითვე არ მივიღეთ გადამჭრელი ზომები, სპორტის თითოეულ სახეობაში მწვრთნელთა ატესტაციის შედეგები თუ საგანგებო მსჯელობის საგნად არ გავიხადეთ, სასურველი შედეგი კიდევ დიდხანს დააყოვნებს.

ამ დღეებში მიმდინარეობს მძლეოსნობაში მომუშავე მწვრთნელების ატესტაცია. იქნებ ამ საკითხზე არც გაგვემახვილებინა ყურადღება, პირველივე სიგნალი საგანგაშო რომ არ იყოს. როგორც ირკვევა, დღეს რესპუბლიკაში მძლეოსნობის 807 ჯგუფია გახსნილი, მუშაობს 456 მწვრთნელი, მაგრამ მძლეოსნობაში მომუშავე მწვრთნელების უმრავლესობა შემთავსებელია, ზოგან ჯგუფები გახსნილია ტრადიციების, მწვრთნელთა კადრებისა და სპორტული ბაზის გაუთვალისწინებლად, საათები კი ისეა განაწილებული, ლაპარაკიც ზედმეტია სპორტსმენთა მომზადებაზე. უდავოდ შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ ატესტაციაზე 37-დან არ გამოცხადდა... 17 რეგიონის წარმომადგენელი. 175-დან ატესტაცია გაიარა მხოლოდ 93 მწვრთნელმა, რომელთაგან 16-ს პირობითად ერთი წლით დართეს მუშაობის უფლება, 8 მწვრთნელს კი საერთოდ აეკრძალა მწვრთნელად მუშაობა. საგულისხმოა, რომ ატესტაციაზე სწორედ იმ რეგიონების მწვრთნელები არ გამოცხადდნენ, სადაც საერთოდ ჩავარდნილია მძლეოსნობა. ესენია: ქალაქები ზუგდიდი და ჭიათურა, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, გურჯაანის, თერჯოლის, მაიაკოვსკის, მახარაძის, ლანჩხუთის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ყვარლის, ჩოხატაურის, წითელი წყაროს რაიონები.

ეცნობი ამ ფაქტებს და უმალვე გახსენდება საზოგადოებრივი აზრი იმის შესახებ, რომ ბევრ მწვრთნელს, განსაკუთრებით პერიფერიებში, იოლი ან სრულიადაც უშრომელი შემოსავლის წყაროდ გაუხდია სპორტულ ჯგუფებთან მუშაობა. არ გვაქვს უფლება საზოგადოებრივ აზრს ანგარიში არ გავუწიოთ, მით უმეტეს, როცა ამას მწვრთნელთა ატესტაციის შედეგებიც ადასტურებს. საგულდაგულოდ უნდა გადავუკეტოთ გზა ფორმალიზმს და სიყალბეს, თორემ განუკითხაობა კიდევ დიდი ხნით შეაფერხებს ჩვენი მძლეოსნობის განვითარებას. იქნებ მძლეოსნობა გამონაკლისი არ არის?





ელვა-ინფორმაცია

## ჯემალ მჭედლიშვილი მსოფლიო ჩემპიონია, მსოფლიო თასი — დავით გობეჯიშვილს

წუხელ სასიხარულო ცნობები მივიღეთ იტალიიდან და მონღოლეთიდან. მილანში სამბისტთა დიდ ფორუმზე მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ქართველმა ფალავანმა **ჯემალ მჭედლიშვილმა**, ულან-ბატორში კი თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიო თასი დაისაკუთრა **დავით გობეჯიშვილმა**.

სურათებზე: ჯემალ მჭედლიშვილი (მარცხნივ) და დავით გობეჯიშვილი.

## გუშინ...

**ხევილია, 30 ნოემბერი** (საქდესი). ა. კარპოვის მეორე ტაიმაუტის შემდეგ გაიმართა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მატჩის მეთვრამეტე პარტია. თეთრი ფიგურები კასპაროვს აქვს. გათამაშდა ამ მატჩის ახალი დებიუტი — ლაზიერის გამბიტი.

## ტელეტაიპი - მკითხველი

**კუშირო** (იაპონია). დამთავრდა ფიგურისტთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. სპორტული და მოცეკვავე წყვილების შეჯიბრებაში საბჭოთა სპორტსმენებმა (შესაბამისად ელენე ლეონოვა — გენადი კრასნიცკი და ნატალია ბესტემიანოვა — ანდრეი ბუკინი) იმარჯვეს. ქალთა შორის უძლიერესი იყო მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი კატარინა ვიტი (გდრ), ვაჟებში — კრისტოფერ ბოუმენი (აშშ).

**კოტბუსი** (გდრ). ინტერვიზიის თასი მხატვრულ ტანვარჯიშში 17 წლის მინსკელმა სტუდენტმა მარინა ლობაჩმა მოიგო — 39,95 ქულა. გამარჯვებულს ხუთი მესამედი ქულით ჩამორჩა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ბიანკა პანოვა (ბულგარეთი). საინტერესოა აღინიშნოს, რომ ლობაჩმა და პანოვამ სამ-სამჯერ მიიღეს უმაღლესი შეფასება — 10 ქულა.

**იგლისი** (ავსტრია). მოციგავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში („სამი ტრასის ტურნე“) ჯერჯერობით წინაა ოლიმპიური ჩემპიონი შტეფი ვალტერ-მარტინი (გდრ). მეორე შედეგი ლენინგრადელმა იულია ანტიპოვამ აჩვენა, მესამე — მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა კერსტინ შმიდტმა (გდრ).

**მოსკოვი.** დამთავრდა მაგიდისჩოგბურთელთა ტრადიციული გუნდური საერთაშორისო ტურნირი გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ პრიზზე. ვაჟთა შეჯიბრების ფინალში კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სპორტსმენებმა დაამარცხეს ჩინელები — 3:1. ქალთა შორის ჩინეთის ნაკრებმა ასეთივე ანგარიშით აჯობა იაპონიის გუნდს. დაიწყო პირადი პირველობა.

**სვერდლოვსკი.** საბჭოთა კავშირის თასი ფრენბურთში ქალთა შორის ადგილობრივმა „ურალოჩკამ“ მოიპოვა. ფინალში მან ალმაათის ადკ დაამარცხა — 3:0 (15:5, 15:7, 15:2).





საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია (ხელმძღვანელი დ. ჩიტიშვილი) დიდ დახმარებას უწევს ფიზკულტურისა და სპორტის მომავალ სპეციალისტებს. სტუდენტები აქ ეუფლებიან კვლევითი მუშაობის მეთოდებს. ამ ლაბორატორიის დამსახურებაა წარმატებები, რასაც ჩვენმა სტუდენტებმა ბოლო ხანებში საკავშირო კონფერენციებზე მიაღწიეს. ლაბორატორია სტუდენტთა თვითმმართველობით საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს. სურათზე (მარცხნივ) თქვენ ხედავთ ლაბორატორიაში მეცადინეობის ფრაგმენტს.

მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია მეცადინეობა მძლეოსნობის კათედრის მეთოდურ კაბინეტში (კათედრის გამგე ბ. გველესიანი). კაბინეტი, რომელიც წელს შეიქმნა, აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.

## წოდების მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**მშვილდოსნობაში** — ხათუნა ქლენტს (თბილისი, „შრომითი რეზერვები), სერგო ბერიძეს (ბათუმი, პროფკავშირები), თემურ გორგოშაძეს (აჭარის ასსრ, „შრომითი რეზერვები“), ადელინა ენგიბარიანს (თბილისი, პროფკავშირები), სულიკო თოფურიას, გიორგი დოლიძეს (ორივე — თბილისის, „შრომითი რეზერვები“), ვლადიმერ სვანაძეს (თბილისი, პროფკავშირები);

**სინქრონულ ცურვაში** — ნინო გელაშვილს (თბილისი, პროფკავშირები).

## ფინალური ტურნირის მოულოდნელობანი

**კალათბურთელ** ვაჟთა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში გადამწყვეტი შეხვედრები დაიწყო. რვა უძლიერესმა კოლექტივმა ფინალური ტურნირის პირველი მატჩები გამართა.

ყველაზე დიდი სენსაცია გფრ-ის ჩემპიონის „სატურნისა“ და იტალიის „ტრეისერის“ ორთაბრძოლაში მოხდა. ყველასათვის მოულოდნელად, იტალიელები, ამ ტურნირის მთავარი ფავორიტები დამარცხდნენ — 78:102.

უაღრესად დაძაბული გამოდგა ისრაელის „მაკაბისა“ და ესპანეთის „ბარსელონას“ მატჩი, რომლის ბედი ერთადერთმა ქულამ გადაწყვიტა — „მაკაბიმ“ დაამარცხა ძლიერი მეტოქე — 108:107.

სხვა ორი მატჩი დამთავრდა ასე: „პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „ნაშუა“ (ჰოლანდია) — 101:94, „არის“ (საბერძნეთი) — „ორტეზი“ (საფრანგეთი) — 92:86. ფრანგების მარცხი სხვა პირობებში შესაძლოა სენსაციადაც მიგვეჩნია, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე საბერძნეთის ნაკრების გამარჯვების შემდეგ სპეციალისტებმა ეს შედეგი კანონზომიერად ჩათვალეს.

# „სწრაფი ბურთი" ყურადღებას ითხოვს

**ხარვეზებზე — საჯაროდ!**

⊙ რატომ არ გამოიყვანეს გუნდი სამტრედიელებმა? ⊙ წინსვლა არც ქუთაისში იგრძნობა ⊙ გოგონების ხელბურთში კვლავ საგანგაშო ვითარებაა ⊙ სიტყვით ბევრს ვლაპარაკობთ სელექციის მნიშვნელობაზე, საქმით კი... ⊙ ხელოვნურ ბარიერებს ბოლო უნდა მოეღოს.

**ხელბურთელ** ბავშვთა იმდენი გუნდი, რამდენმაც თბილისის განათლების სამმართველოს ხელბურთის სპეციალიზებული ოლიმპიური რეზერვის სპორტსკოლაში გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატზე მოიყარა თავი, საასპარეზოდ ჯერ არ შეკრებილა. 13-14 წლის ნორჩ ხელბურთელთა პაექრობაში ჭაბუკთა 10 და გოგონათა 9 გუნდი მონაწილეობდა.

მონაწილეთა რიცხვი უფრო გაიზრდებოდა, სამტრედიის წარმომადგენლებს თავი რომ არ აერიდებინათ შეჯიბრებისთვის. ეს ფაქტი გასაკვირია, რადგან ამ ასპარეზობისთვის სამტრედიელები გაცხოველებით ემზადებოდნენ.

შეჯიბრებაში „ბურევესტნიკის" ხელბურთის სპორტული სკოლის ჭაბუკთა გუნდის (მწვრთნელი გ. ბროლაძე) მონაწილეობამ ასპარეზობისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაზარდა.

უნდა ითქვას, რომ ჭაბუკების წარმატებამ მოლოდინს გადააჭარბა. თელავის, აჭარის, თბილისის, სამხრეთ ოსეთისა და „ბურევესტნიკის" ნორჩმა სპორტსმენებმა მაყურებელს უჩვენეს „მოზრდილთა" ხელბურთი — სპორტული ჟინი, მაღალი ოსტატობა, კარგი ფიზიკური გამძლეობა. თუმცა, ისინი არასტაბილურად თამაშობდნენ, რაც, თუ სპორტსმენთა ასაკს გავითვალისწინებთ, კანონზომიერი მოვლენა იყო.

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს თბილისელმა მოსწავლეებმა, რომლებიც შეჯიბრებაზე ორი გუნდით წარსდგნენ. უფროსებსაც (მწვრთნელი რ. ჭანტურია) და უმცროსებსაც (მწვრთნელი სპორტის ოსტატი ჯ. დვალიშვილი) შესამჩნევად აუმაღლებიათ ოსტატობა.

თბილისელთაგან განსხვავებით სხვებმა უმთავრესად ერთ მოთამაშეზე, კერძოდ ლიდერზე და მის ტაქტიკაზეააწყვეს თამაში, რადგან მათი გუნდები სასტარტო შემადგენლობის არათანაბარი ძალის ოსტატობის მქონე მოთამაშეებით იყო დაკომპლექტებული.

ახალგაზრდა მწვრთნელების შ. მამალაშვილის, ვ. კოზაევის, ლ. ცაგურიას ნაყოფიერი შრომის შედეგია ის, რომ დღეს ჭაბუკთა და ბავშვთა ხელბურთი აღმავლობის გზაზეა.

**სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ქუთაისელებზე. აქ მეორე წელია რაც წინსვლა არ იგრძნობა.** იმდენად მათი აუტსაიდერობა არ გვაწუხებს, როგორც ის, რომ კოლექტივს აღარ ატყვია გამოცდილი მწვრთნელის ჯ. ხარაიძის ხელი. გუნდი თითო-ოროლა მოთამაშით ფონს ვერ გადის, ახლაც, ა. ბოყოჩაძემ, ამ უდავოდ პერსპექტიულმა მოთამაშემ გუნდის ტვირთი მთელი შეჯიბრების მანძილზე მარტომ ვერ ზიდა და გუნდმა მისთვის შესაფერისი ადგილი (X) დაიკავა. ვიმედოვნებთ, რომ ქუთაისელთა ზოლოდროინდელი წარუმატებლობა დროებითია.

უნდა ითქვას, რომ ეს ასპარეზობა ჩვენი ხელბურთის რეზერვის დათვალიერება იყო. იგი მოწონებას იმსახურებს. სპეციალისტებმა ნაკრებისთვის რესპუბლიკის თითქმის ყველა რეგიონიდან 25-მდე კანდიდატი შეარჩიეს. ამდენი პერსპექტიული ხელბურთელი კარგა ხანია არა გვყოლია. მალე ხელბურთელთა ნაკრები მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადისთვის გეგმით გათვალისწინებულ სამზადისს შეუდგება, ჩვენს სპორტსმენებს არ უნდა დაავიწყდეთ, რომ წლეულს სპორტსკოლების მოსწავლეთა საკავშირო სპორტულ თამაშებზე მოპოვებული ვერცხლის მედლები ბევრს ავალებთ.



რესპუბლიკურმა შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ გოგონათა ხელბურთი უსუსურ მდგომარეობაშია. დამაფიქრებელი მარტო ის არ არის, რომ გოგონები სუსტად თამაშობენ და მათი ტექნიკურ-ტაქტიკური და ფიზიკური მომზადებაც არადამაკმაყოფილებელია. საქმე ის არის, რომ რესპუბლიკაში სასელექციო მუშაობა არ მიმდინარეობს. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ გოგონათა ხელბურთში ღებულობენ ყველას, ვინც ამის სურვილს გამოთქვამს. ამიტომაა გუნდებში ნაკლებად რომ არიან მაღალი ტანის, ფიზიკურად ძლიერი ხელბურთელი გოგონები. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია რაიონის გუნდებში, თუმცა, ამ მხრივ არც თბილისელები გამოირჩევიან. მართალია, ჩვენში მაღალი ტანის გოგონები მრავლად არ არიან, მაგრამ მათი მოძებნა მაინც შეიძლება.

**როგორც ჩანს, ჩვენი მწვრთნელები თავს ჭკვნით არ იწუხებენ. მათთვის საკმარისი ყოფილა გუნდის 10-12 მოსწავლისაგან დაკომპლექტება, მისთვის თამაშის წესების გაცნობა და ასპარეზობაზე გამოყვანა.** როგორ თამაშობს და რა შთაბეჭდილებას ტოვებს გუნდი, ეს მათ არ აწუხებთ. ამის მერე რატომ უნდა გვიკვირდეს საკავშირო სარბიელზე ჩვენი ქალთა გუნდები წარმატებით რომ ვერ გამოდიან. ამის მიზეზი ბავშვთა ხელბურთში გვქონია საძებარი.

ვფიქრობ, შესამოწმებელია იმ მწვრთნელთა საქმიანობა, ვისაც გოგონათა ხელბურთი აბარია. ამ საქმეში იმათაც მიუძღვით ბრალი, ვინც მწვრთნელებისთვის მოკლევადიან სასწავლო-პრაქტიკულ სემინარებს უნდა აწყობდეს, გამოცდილების შესაძენად მათ სხვადასხვა საკავშირო თუ საერთაშორისო ტურნირებზე აგზავნიდეს.

გოგონათა და საერთოდ ბავშვთა ხელბურთის აღმავლობას აფერხებს შეჯიბრების ნაკლებობაც, იმ შეჯიბრებებისა, სადაც იხვეწება ოსტატობა. სპორტსმენი გამოცდილებას იძენს. ასეთ შეჯიბრებად მიმაჩნია თამაშები „სწრაფი ბურთის" პრიზზე, რომელიც არაფრით ჩამოუვარდება „ოქროს ოვალს" „ტყავის ბურთს", „ოქროს შაიბას", „ოქროს კალათს". რატომ არ ვაბამთ ასეთ შეჯიბრებაში ნორჩებს? გამოდის, რომ ბავშვთა დაოსტატების გზაზე ჩვენვე ვდგამთ ხელოვნურ ბარიერს. ჩვენმა ვერცხლის მედალოსანმა ბიჭებმა ხომ ჯერ „სწრაფი ბურთის" გამარჯვებულთა კვარცხლბეკზე... ეტონებით დაიმშვენეს მკერდი და შემდეგ გაიკაფეს გზა უფრო დიდი სიმაღლეებისაკენ.

აუცილებელია ერთხელ და სამუდამოდ დავაკანონოთ „სწრაფი ბურთის" რესპუბლიკური შეჯიბრება და დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ მის ჩატარებას. ვფიქრობ, ამით ამაღლდება რესპუბლიკის რაიონების სპორტსკოლებში მომუშავე მწვრთნელთა დაინტერესება და მუშაობის ხარისხი, გაიზრდება თვით ბავშვთა ინტერესიც ხელბურთისადმი, რაც აღმავლობის გზაზე დააყენებს ქართულ ხელბურთს.

სიტყვა გაგვიგრძელდა, დასასრულს უნდა ითქვას, რომ შეჯიბრებას თავისებური ელფერი შესძინა ოლიმპიური ჩემპიონის ალექსანდრე ანპილოგოვის სტუმრობამ. მან სამახსოვრო საჩუქრები გადასცა გამარჯვებულ გუნდებსა და ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებს, წარმატება მიულოცა და შემდგომი გამარჯვებები უსურვა ნორჩ ხელბურთელებს.

### ქვარცხლბაკი

**გოგონები:** I. თბილისი (I), 2. აფხაზეთი, 3. ფოთი, 4. თბილისი (II), 5. წყალტუბო, 6. აჭარა, 7. ქუთაისი, 8. სამხრეთ ოსეთი, 9. თბილისი (III).

**ჭაბუკები:** 1. თბილისი (I), 2. აჭარა, 3. თბილისი (II), 4. თელავი, 5. სამხრეთ ოსეთი, 6. ფოთი, 7. „ბურევესტნიკი", 8. აფხაზეთი, 9. რუსთავი, 10. ქუთაისი.

**ჯემალ აბაიშვილი,**
**საქართველოს განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი ხელბურთში, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.**

---

**ლახტის წრეში**

# მდგომარეობა დამაფიქრებელია, გულისტკივილი — სამართლიანი

ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონი საკმაოდ დიდი დასახლებაა. აქ არის სკოლა, მაღაზია, ბაღი, მაგრამ რამდენიც უნდა ეძებოთ, ერთ პატარა სპორტულ მოედანს ვერსად წააწყდებით. არადა, მარტივი ტიპის სპორტულ მოედნებზე იმდენი დაიწერა და ითქვა, რომ უკვე უხერხულიცაა ამ თემაზე საუბარი.

მე-4 მიკრორაიონში ყველა სახლი ამხანაგურია და უბედურების მიზეზიც ეს არის. მოსახლეობას დახმარების სათხოვნელად რამდენიმეჯერ მიუმართავს 26 კომისრების რაიაღმასკომის თავმჯდომარისთვის, მაგრამ... კორპუსები კოოპერატიულია და სპორტმოედნების აშენება ჩვენ არ გვევალება, ადგილი გაქვთ და თქვენ თვითონ გააკეთეთ საკუთარი ხარჯებითო — ყოფილა პასუხი. ასე გრძელდებოდა ოთხი წლის განმავლობაში. იმედგადაწურულებმა რედაქციას სთხოვეს დახმარება. ჩვენ ვიყავით ადგილზე და დავრწმუნდით, რომ იქ შეიძლება მინიმოედნის მოწყობა (30X30-ზე), ვესაუბრეთ მიკრორაიონის მკვიდრთ.

— აქ 280 ბავშვი ცხოვრობს. გეკითხებით, არ უნდა ჰქონდეს ამდენ ბავშვს ერთი სპორტული მოედანი? ან დიდებმა რა დავაშავეთ? სპორტი, გამაჯანსაღებელი ფიზკულტურა ადამიანისათვის აუცილებელიაო, ახლა ყველა ამას ლაპარაკობს, ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ დახმარებით რომ არავინ გვეხმარება?

— ერთი სახლში შემობრძანდით და ნახეთ რა დღეში ვართ. მე-6 სართულზე სახურავიდან ჩამონაჟონი წყალი ჩამოდის. აქ რომ შემოგვასახლეს, მხოლოდ კედლები იყო ამოყვანილი. ყველაფერი ჩვენი გასაკეთებელი დაგვიხვდა. დახმარებისთვის ვისაც მივმართეთ, სახლი ამხანაგურია და თქვენვე მიხედეთო — გვითხრეს. მასალას მამასისხლის ფასად ჰყიდიან. ვისა აქვს ამდენი ფული. რომ გვქონდეს, კი ბატონო, მოედანს ერთს კი არა, ათს ავაშენებდით. საინტერესოა, ამ დასახლებაში პროექტით მოედნის მშენებლობა არ იყო გათვალისწინებული? აეშენებინათ თუნდაც ისეთი უხარისხო, როგორიც ეს სახლებია.

— ჩემი მეზობელი მართალია. მოედანი რომ ავაშენოთ, დაგვჭირდება ასფალტი და შემოსაღობი მასალა. რადგან კოოპერატიული სახლებისათვის მოედნების აშენება არავის ევალება, მასალა „ვილაცამ" უნდა გვიშოვნოს, ესე იგი სხვას უნდა მოაკლოს და ჩვენ მოგვიტანოს, თან ორმაგი გადაგვახდევინოს. არადა, შვილები გვეზრდება, ბავშვებს თამაში ჰაერივით სჭირდებათ. - დიახ, მოედანი აუცილებელია, მაღაზიებზე უფრო საჭირო...

მდგომარეობა მართლაც დამაფიქრებელია, ხალხის გულისტკივილიც სამართლიანი. ნუთუ საშველი არ არის? ამ კითხვით მივმართეთ 26 კომისრების რაიონის კოოპერატიული სექტორის უფროსს ამხ. მ. გვიდიანს.

— რამდენიმეჯერ მეც მომმართეს თხოვნით, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ დავეხმარე. საქმე იმაშია, რომ ამ სახლების ბინადართ სახელმწიფოს ვალი ჯერ კიდევ არ გადაუხდიათ და სპორტული მოედნის მშენებლობას ამიტომ ვერ ვაფინანსებთ. სამწუხაროდ, ჩვენთან არ არის ისეთი ორგანიზაცია, რომელიც შეფობას გაუწევდა კოოპერაციული სახლების ბინადართ. მათ შეგვიძლია დავეხმაროთ მხოლოდ საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში, პროექტის შედგენაში, მასალის ადგილზე მიტანაში, მუშახელის შოვნაში და ასე შემდეგ. ესეც იმ შემთხვევაში, თუ თვითონ გაიღებენ ხარჯებს.

ყველაფერი გასაგებია, მაგრამ ჩვენ მაინც ასეთ კითხვას დავსვამთ: იმ 280-მა ვარკეთილელმა ბავშვმა სად ითამაშოს?

**რედაქცია პასუხს ამ კითხვაზე 26 კომისრის სახელობის რაიონის აღმასკომიდან ელოდება.**

**მანანა სოსელია.**

---

# შეხვედრა ჩემპიონთან

**სსრ კავშირის** მოჭადრაკე ქალთა 47-ე ჩემპიონატის დამთავრებისთანავე საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტში გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ტურნირში გამარჯვებულს, საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონს ნანა იოსელიანს. შეხვედრა გახსნა დოცენტმა თენგიზ გიორგაძემ, რომელმაც მსმენელებს გააცნო იოსელიანის ბიოგრაფია და შემოქმედებითი მიღწევები. შემდგომ ჩემპიონი ესაუბრა შეკრებილთ, მოუთხრო მათ ტურნირის პერიპეტიებზე. დასასრულს, ჭადრაკის მოყვარულთა თხოვნით, ნანამ ერთდროული თამაშის სეანსი გამართა 12 დაფაზე. ჩემპიონმა 8 დაფაზე გაიმარჯვა, ყაიმით დაამთავრა შეხვედრა პარტიის ისტორიის კათედრის უფროს მასწავლებელთან დ. მებუკესთან და სპორტის ოსტატობის კანდიდატთან მ. მკრტჩიანთან, დიდოსტატის დამარცხება შეძლეს ჭადრაკის სპეციალიზაციის სტუდენტებმა მ. ესაძემ და ქ. აბაშიძემ.

ნანა იოსელიანს გადასცეს ინსტიტუტის სპორტკლუბის საპატიო წევრის სიგელი და მედალი.

**თამარ ტუსიშვილი,**
**საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის II კურსის სტუდენტი.**

---

# ფრენბურთელთა საიუბილეო

**საკურორტო** ზონებში დიდი პოპულარობით სარგებლობს ფრენბურთელთა შეჯიბრებები. ამიტომ იყო პროფკავშირების ნებაყოფლობითი ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოების მიერ ქ. ბორჯომში გამართულ შეჯიბრებაში, რომელიც დიდი ოქტომბრის რევოლუციის 70-ე წლისთავს მიეძღვნა, ქალაქის თითქმის ყველა ორგანიზაცია რომ მონაწილეობდა. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვა საბაზო სანატორიუმ „ლიკანის" გუნდმა (მთავარი ექიმი ე. დვალიშვილი). მეორე და მესამე ადგილებზე შესაბამისად კურორტვაჭრობის და სატყეო ტექნიკუმის ფრენბურთელები გავიდნენ.

**ზ. კაბულაშვილი.**
**პროფკავშირების ნფსს ბორჯომის რაიონული საბჭოს თავმჯდომარე.**

---

# ერთი ფოტორეპროდუქციის შესახებ

1971 წლის 6 მაისს ცხაკაიას ახლად გახსნილ საჭადრაკო კლუბში საქართველოს ქალთა მორიგი ჩემპიონატი დაიწყო. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ კაჭარავა, კალანდარიშვილი, წერეთელი, გაჩეჩილაძე, ქობალია, გოგლოევა, გეგიძე, გელაშვილი, ბაშინურიძე, ჯანჯღავა, მაისაია, ყიფიანი, კლიმჩუკი და სრულიად ნორჩი მაია ჩიბურდანიძე. ეს მისი პირველი გამოსვლა იყო საქართველოს ქალთა ჩემპიონატში. ამ შეჯიბრებაზე მაიამ 13 შესაძლებლიდან 6,5 ქულა მოაგროვა. ჩემპიონობა კი 10,5 ქულით სვეტლანა კალანდარიშვილმა მოიპოვა.

მახსოვს, ხალხით სავსე დარბაზი ორ ნაწილად იყო გაყოფილი. ერთნი მზია წერეთელს გულშემატკივრობდნენ (წერეთელმა შეჯიბრებაში II ადგილი დაიკავა), სხვები — მაიას. ამის მიზეზი მისი ასაკი და შესაშური საბრძოლო სულისკვეთება იყო.

მას ყველაზე აქტიურად მისი დედა და ბებია ქომაგობდნენ. მე, როგორც კომკავშირულ მუშაკს, დავალებული მქონდა ყურადღება მიმექცია ამ ღონისძიებისთვის. მაიას მწვრთნელი მალიმალ მოდიოდა გოგონას ახლობლებთან და მის მიერ გაკეთებული თითოეული სვლის სისწორესა თუ შეცდომაზე ელაპარაკებოდა. მახსოვს მისი სიტყვები: „ამ გოგონამ თუ არ გამიმართლა, ჭადრაკს მივატოვებ".



ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ სამახსოვრო ფოტოსურათი გადავიღეთ, ფოტოს სათუთად ვინახავდი. სურათზე აღბეჭდილნი არიან შეჯიბრებაში მონაწილენი, წინა პლანზე (მარჯვნიდან მეორე) დგას 10 წლის მაია ყვავილებით ხელში. იქნებ ჩემპიონის ალბომს არ ამშვენებს ეს ფოტოსურათი? მისი სამზეოზე გამოტანა რამდენჯერმე გადავიფიქრე, რადგან მსურდა დროის ნისლი დასდებოდა ფოტოს.

**ბორის დავითაია.**

ცხაკაია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მთავარი ბრძოლა წინაა

მატჩის ექო






ასეთი მომენტები ხშირად იქმნებოდა თბილისელთა საჯარიმო მოედანზე, მაგრამ დაცვა მოწოდების სიმაღლეზე იდგა.





თბილისელი გულშემატკივრები; მეორე სურათზე თქვენ ხედავთ „ვერდერის“ ცოცხალ კედელს, შუაში დგას გუნდის ყველაზე ტანმაღალი მოთამაშე ფრანკ ნოიბარტი.

მალხაზ დათიკაშვილის ფოტორეპორტაჟი







ბრემენის ქუჩა; მატჩის წინ „ვერდერის“ ერთ-ერთმა გულშემატკივარმა გუნდის თილისმა — თხა გამოიყვანა მოედანზე; პოლიციელები მკაცრად იცავდნენ წესრიგს სტადიონის მისადგომებთან.





მძიმე მატჩი ეს-ესაა დამთავრდა. რას ფიქრობენ ახლა მწვრთნელები? ამ კითხვაზე პასუხს გასცემს მატჩი, რომელიც 9 დეკემბერს თბილისში გაიმართება. მთავარი ბრძოლა წინაა.

**მაშ,** ასე, თბილისის „დინამოს“ პირველი მატჩი „ვერდერთან“, რომელიც ბრემენში გაიმართა უეფა-ს თასისთვის, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, დამთავრდა მასპინძლების გამარჯვებით — 2:1. ჯერჯერობით ორივე გუნდს რჩება შანსი გააგრძელოს ბრძოლა შემდეგ ეტაპზე. თბილისელებს დამატებით სტიმულს ის აძლევს, რომ საპასუხო შეხვედრას ისინი შინ გამართავენ და უდავოდ შეეცდებიან წლევანდელი საფეხბურთო სეზონის დამაგვირგვინებელ ესოდენ საპასუხისმგებლო მატჩში წარმატებით სიხარული მოუტანონ არა მარტო ქართული, არამედ საერთოდ საბჭოთა ფეხბურთის გულშემატკივრებს.

ბრემენის „ვერდერთან“ დინამოელთა პირველი მატჩის შესახებ ჩვენ უკვე ვესაუბრეთ მკითხველებს. ახლა შევეცდებით უფრო ვრცლად შევეხოთ იმ ატმოსფეროს, რომელიც მატჩამდე, მატჩის მსვლელობისას და შემდეგ სუფევდა მასპინძელთა ბანაკში. ამთავითვე უნდა ვთქვათ, რომ მატჩმა უჩვეულოდ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია მთელ დასავლეთ გერმანიაში. „ვერდერისადმი“ განსაკუთრებულ ინტერესს გერმანელი ჟურნალისტები იმით ხსნიან, რომ ეს არის ქვეყნის ერთადერთი გუნდი, რომელიც თითქმის მთლიანად ადგილობრივი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებული — მას წმინდა ეროვნულ გუნდს უწოდებენ. მხოლოდ ფინანსური მდგომარეობით არ აიხსნება ის, რომ კლუბი ახლა პრინციპულად აცხადებს უარს შეისყიდოს ცნობილი ფეხბურთელები სხვა ქვეყნებიდან, რასაც გფრ-ის მდიდარი კლუბები არ ერიდებიან. აი, ამიტომ უყვართ და განსაკუთრებულ პატივს სცემენ გულშემატკივრები „ვერდერს“. ამას დაუმატეთ მთავარი — „ვერდერი“ ქვეყნის ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია! პოპულარობა და რეკლამა ახლა მკვეთრად ზრდის კლუბის შესაძლებლობებს, გადახურული ტრიბუნები, რომელიც ამჟამად მხოლოდ 30 ათას მაყურებელს იტევს (ფეხზე დასადგომი ადგილების ჩათვლით) ფართოვდება და სამუშაოები ისე მიმდინარეობს, რომ მატჩების ჩატარებაში გუნდს ხელი არ ეშლება. რაკი სიტყვა „ვერდერის“ პოპულარობაზე ჩამოვარდა, დავძენთ, რომ გასულ ოთხშაბათს კიდევ ორი მატჩი ტარდებოდა უეფა-ს თასზე დასავლეთ გერმანიის გუნდების მონაწილეობით (შეგახსენებთ, დორტმუნდის „ბორუსია“ შინ თამაშობდა, ლევერკუზენის „ბაიერი“ კი — სტუმრად). **ყველაზე პრესტიჟულად „ვერდერისა“ და „დინამოს“ მატჩი მიიჩნიეს და ადგილობრივი ტელევიზიის პირველი პროგრამით სწორედ ამ შეხვედრის პირდაპირი** ტელერეპორტაჟი მოეწყო. საგულისხმო ფაქტია ისიც, რომ მატჩის პირდაპირ ტელერეპორტაჟს იღებდა ყველა ქვეყანა, რომლის წარმომადგენლებიც ჯერ კიდევ შემორჩნენ უეფა-ს თასის გათამაშებას.

დასავლეთ გერმანიის პრესაშიც მატჩამდე ყველაზე ვრცლად სწორედ ამ შეხვედრის ირგვლივ დაიწერა. მთელ მსოფლიოში პოპულარული საფეხბურთო ჟურნალი „კიკერი“ ახალ ნომერში, რომელიც მატჩამდე ორი დღით ადრე გამოვიდა, ვრცელ მასალას უძღვნის თბილისის „დინამოს“, ბეჭდავს შენგელიას ფოტოსურათს. ჟურნალი ხაზს უსვამს თბილისელთა წლევანდელ სიძნელეებს ქვეყნის საფეხბურთო ჩემპიონატში, მაგრამ... „მოსკოვიდან დაბრუნებულმა „ვერდერის“ მწვრთნელმა, რომელიც დაესწრო „სპარტაკისა“ და „დინამოს“ მატჩს, მკაცრად გააფრთხილა თავისი ფეხბურთელები, რომ თბილისის „დინამო“ ძლიერი გუნდია, რომ ქართველები სულ სხვა ფეხბურთს თამაშობენ და თითოეული ფეხბურთელი უაღრესად მაღალტექნიკური მოთამაშეა“, —წერდა „კიკერი“. გაზეთები კი ხაზს უსვამდნენ მატჩამდე „ვერდერის“ უფროსი მწვრთნელის ოტო რეჰაგელის განცხადებას იმის შესახებ, რომ იგი ოცნებობს, მისმა გუნდმა თბილისელებთან შეხვედრა როგორმე მოიგოს ანგარიშით 2:0. მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე კი რეჰაგელმა თქვა: „თავიდან ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც დაგეგმილი გვქონდა, მაგრამ შენგელიას მიერ გატანილმა გოლმა ჩვენი გეგმები არია...“

ზემოთ უკვე ვთქვით, რომ შენგელიაზე „კიკერი“ განსაკუთრებით ამახვილებდა ყურადღებას. რამაზს იმ დღეს მართლაც ყველაფერი ჩინებულად გამოუვიდა და გამუდმებით შებოჭილი ჰყავდა მეტოქის დაცვა, მცველებთან ბრძოლაში იგი ხშირად გამოდიოდა გამარჯვებული და ერთი შეტევა გოლითაც დააგვირგვინა. ჟურნალისტებს შენგელიას გარდა ძალიან მოეწონათ, გაბელიას, ჩივაძისა და სულაქველიძის თამაში, რომლებმაც საკუთარი კარის უსაფრთხოებისთვის ყველაფერი გააკეთეს შენგელიას მიერ გატანილი ერთი საპასუხო გოლის შემდეგ. თუმცა უნდა ითქვას, გაზეთები იმასაც აღნიშნავდნენ, რომ „მიზნის მისაღწევად ობილისელები არაფერს ერიდებოდნენ, დროის გაყვანასაც კი, რისთვისაც რამდენიმე ფეხბურთელმა მიიღო გაფრთხილება. საერთოდ, აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია მსაჯობის საკითხმა. ჩვენი აზრით, ყველაზე ობიექტურად მატჩის შემდეგ რამაზ შენგელიამ შეაფასა მსაჯობის დონე. „პირადად მე, — გვითხრა მან, — ვთვლი, რომ მსაჯმა კარგად გაართვა თავი ამ მძიმე მატჩს. სიმკაცრე, თუ ის ობიექტურია, არბიტრს არ უნდა ვუსაყვედუროთ, თუმცა, ესპანელი მსაჯი ამ მატჩში ალბათ ბოლომდე ობიექტური არ იყო, როცა ჩივაძე და ჭედია გააფრთხილა“.

თბილისის „დინამო“ ამ მატჩისთვის საგანგებოდ ემზადებოდა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საფეხბურთო სეზონი ჩვენთან უკვე დამთავრდა, დასავლეთ გერმანიაში კი ქვეყნის ჩემპიონატის მეორე წრე ახლა იწყება, ცხადია, უკეთეს პირობებში მასპინძლები აღმოჩნდნენ. თბილისელ ფეხბურთელებს მზადების პროცესში სპარინგ-პარტნიორებად მხოლოდ სოხუმის „დინამო“ და რუსთავის „მეტალურგი“ ჰყავდათ. (სხვათა შორის, სპარინგ-პარტნიორის პრობლემა განმეორებითი შეხვედრისთვის მზადების პერიოდშიც დგას „დინამოს“ წინაშე).

არავის ეეჭვებოდა, რომ შეხვედრის ბედი მატჩის პირველ ოც წუთში გადაწყდებოდა. სწრაფი ტემპი, გამუდმებული შეტევა ჩვენს კართან თბილისელებისთვის მოულოდნელი არ ყოფილა, ასეთმა შტურმმა ნებისმიერი გუნდი შეიძლება გატეხოს, მაგრამ დინამოელებმა სულ სხვა ნებისყოფა გამოავლინეს და მეტოქემ სწორედ მაშინ მიიღო საპასუხო ბურთი საკუთარ კარში, როცა სტუმრების იოლად დაჯაბნის რწმენა ჩაესახა. **„ვეზერ-კურირმა“ მატჩის შემდეგ დაწერა: „ვერდერის“ სტარტი მართლაც საოცნებო იყო, მაგრამ მას** შემდეგ, რაც ანგარიში გახდა 2:0, რამაზ შენგელიას ზუსტად 100 წამი დასჭირდა, რათა გოლი გაეტანა და სასტარტო ილუზიები დაემსხვრია...“ „კიკერმა“ შენგელიას გოლს შემდეგი კომენტარი დაურთო: ასეთი გოლები მაშინ გადის, როცა შენი გატანილი ბურთის სიხარული ჯერ კიდევ არ გაგნელებიაო. იგივე „კიკერი“ განაგრძობს: „ბრემენელებს ჰქონდათ უპირატესობა, მაგრამ დინამოელთა ყველა შეტევა „ცეცხლსაშიში“ იყო. გაბელია წუთიდან წუთამდე უმატებდა თამაშს და ამით დაცვას რწმენა ჩაუნერგა“. საერთოდ, დასავლეთ გერმანიის პრესა უკმაყოფილებას და შეშფოთებას გამოთქვამდა პირველი მატჩის შედეგის გამო, მით უფრო, რომ „ვერდერის“ თავდამსხმელმა მაიერმა ამ მატჩში გაფრთხილება მიიღო, რაც მისთვის მეორე იყო. მაიერი თბილისის განმეორებით მატჩში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

რამდენიმე სიტყვა გულშემატკივრებზე. გუნდთან ერთად ბრემენში თბილისელი ქომაგების ჩამოსვლის ამბავი სწრაფად გავრცელდა. მაყურებელზე განსაკუთრებულ ეფექტს ახდენდა ჩვენი გულშემატკივრების ქომაგობა, რომლებიც მწყობრი შეძახილებით და ქართული მელოდიების თანხლებით (ჯგუფში მუსიკოსებიც იყვნენ) „ცეცხლს უნთებდნენ“ ფეხბურთელებს. მატჩის შემდეგ „ვერდერის“ გულშემატკივრები მიდიოდნენ იმ ტრიბუნასთან, სადაც სტუმრები ისხდნენ და... მადლობას უხდიდნენ მათ ასეთი ენერგიული ქომაგობისათვის. მანამდე ჩვენს დელეგაციას ჟურნალ „შპიგელის“ რედაქტორმა დაურეკა და ნებართვა ითხოვა, რომ მატჩამდე გულშემატკივართა ჯგუფის ფოტო გადაეღო. ადგილობრივი გაზეთები წერდნენ, „ვერდერს“ თბილისში ძალიან გაუჭირდება იმიტომაც, რომ იქ „დინამოს“ 75 ათასი ქომაგი ეყოლება; როცა გულშემატკივართა ერთი პატარა ჯგუფი ასეთ შთაბეჭდილებას ახდენს, წარმოიდგინეთ, თბილისში რა იქნებაო. აქვე უნდა ითქვას: საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა და „სპუტნიკის“ ხელმძღვანელობამ კარგ თაოსნობას ჩაუყარეს საფუძველი — გულშემატკივართა ჯგუფი, რომელიც მათი ხელშეწყობით მოგზაურობს გუნდთან ერთად, თვით ფეხბურთელების აზრით, დიდ და სასარგებლო საქმეს აკეთებს.

**თენგიზ გაჩეჩილაძე,**
**„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი.**

ბრემენი — თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადასასვლელი ტურნირი

დასასრულს მიუახლოვდა საქართველოს საფეხბურთო პირველობის II ჯგუფის ქვეჯგუფებში გამარჯვებული გუნდების გადასასვლელი ტურნირი. 29 ნოემბერს თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა II ტურის შეხვედრები. „მაღაროელი" (ჭიათურა) — „არაგვი" (დუშეთი) 3:0, „ბახტრიონი" (ახმეტა) — „მზიური" (გალი) 2:0.

ბოლო ტურის წინ გათამაშებას 3-3 ქულით ლიდერობენ ჭიათურელი და ახმეტელი ფეხბურთელები, გალელებს — 2, ხოლო დუშეთის „არაგვს" ბოლო ტურის წინ არც ერთი ქულა არა აქვს.

დღეს გაიმართება გადასასვლელი ტურნირის ბოლო შეხვედრები, 15 საათზე „ლოკომოტივის" სტადიონზე გალის „მზიური" ჭიათურის „მაღაროელს" შეხვდება, ამავე დროს მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონზე ითამაშებენ „ბახტრიონი" (ახმეტა) — „არაგვი" (დუშეთი).

## საქართველოს პირველობა

**გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის 44-ე ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის:**

„მეტალურგი" (ზესტაფონი) — „კოლხეთი" (ხობი) 0:1, „ამირანი" (ოჩამჩირე) — „იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) 2:0, „ეგრისი" (ცხაკაია) — „ივერია" (ხაშური) 4:2, „იმერეთი" (ქუთაისი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 2:2, „საპოვნელა" (თერჯოლა) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 2:1, „არმაზი" (მცხეთა) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ) 1:0, „სულორი" (ვანი) — „ქართლი" (გორის რ-ნი) 2:0, „კახეთი" (თელავი) — „სქური" (წალენჯიხა) 4:3, „დინამო" (ზუგდიდი) — „მადნეული" (ბოლნისი) 4:0, „შადრევანი" (წყალტუბო) — „სალხინო" (გეგეჭკორი) 1:3, „დინამო" (გაგრა) — — ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 4:1.

## რეიგანმა მიიღო აველანჟი

ამ დღეებში აშშ-ის პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა თეთრ სახლში მიიღო ფიფას პრეზიდენტი ჟოაო აველანჟი (ბრაზილია). აველანჟმა პრეზიდენტს განუცხადა, რომ ამერიკას კარგი შესაძლებლობა აქვს მიიღოს მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის გამართვის უფლება. აშშ-ს გარდა, როგორც ცნობილია, ამ ჩემპიონატის ჩატარება სურთ ბრაზილიასა და მაროკოს.

— ამერიკა ყველაფერს გააკეთებს, — თქვა რეიგანმა, — მსოფლიოს 1994 წლის ჩემპიონატის ორგანიზაციის უფლების მოსაპოვებლად.

# სპორტული დეკემბერი

**1-3. ბატუტზე ხტომა.** საქართველოს ჩემპიონატი. **თბილისი.**
**2-16. ჭადრაკი.** მოზარდთა რესპუბლიკური შესარჩევი შეჯიბრება. **თბილისი.**
**4-6. ძიუდო.** სსრ კავშირის თასის გათამაშება მოზრდილთა და 1969-70 წ.წ. დაბადებულ გოგონათა შორის. **ბაქო.**
**4-25. ჭადრაკი.** მატჩი ამიერკავკასიის რესპუბლიკებს შორის (ვაჟები). **თბილისი.**
**9-13. ხელბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი, ფინალური შეჯიბრება. **თბილისი.**
**9-13. ხელბურთი.** თბილისის საერთაშორისო ტურნირი ვაჟთა გუნდებს შორის გაზეთ „ზარია ვოსტოკას" პრიზზე. **თბილისი.**
**9-13. ბადმინტონი.** სსრ კავშირის პირადი ჩემპიონატი. **ალმა-ათა.**
**9-13. სინქრონული ცურვა.** სსრ კავშირის თასის გათამაშება. **მოსკოვი.**
**11-13. ძიუდო.** საკავშირო შეჯიბრება 1971-72 წწ. დაბადებულ ჭაბუკთა შორის. **ხარკოვი.**
**11-13. ცურვა.** სსრ კავშირის თასის გათამაშება მოზრდილთა და 1970-72 წწ. დაბადებულ მოზარდთა შორის. **ხარკოვი.**
**11-13. ცურვა.** საკავშირო შეჯიბრება 1972-74 წწ. დაბადებულ მოზარდთა შორის. **ზაპოროჟიე.**
**15-20. სპორტული ტანვარჯიში.** საქართველოს ჩემპიონატი და თასის გათამაშება ცალკეულ ვარჯიშებში. **თბილისი.**
**15-20. ფიგურული ციგურაობა.** საკავშირო შეჯიბრება. **ერევანი.**
**17-20. კალათბურთი.** სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონატი უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდებს შორის I წრე, V ტური. **თბილისი.**
**17-20. თხილამურებით ხტომა.** სსრ კავშირის 1988 წლის თასის გათამაშება, III ტური. **ნიჟნი ტაგილი.**
**17-21. კროსი.** თბილისის VI საერთაშორისო ტურნირი 1970-71 წწ. დაბადებულ იუნიორთა შორის. **თბილისი.**
**18-19. სამბო.** სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი. **გორი.**
**18-20. საგზატკეცილო ველორბოლა.** საქართველოს პირველობა მთაგორიან ტრასებზე. **ვანი.**
**18-21. კლასიკური ჭიდაობა.** სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონატის ზონალური შეჯიბრება. **ბაქო.**
**19-21. ველოსპორტი (ტრეკი).** საკავშირო შეჯიბრება. გიტი, ვაჟთა სპრინტი. **მოსკოვი.**
**19-25. ხელბურთი.** სსრ კავშირის 1988 წლის ვაჟთა ჩემპიონატი, I წრე, II ტური. **კაუნასი.**
**21-26. ფარიკაობა.** სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი. **ტალინი.**
**21-27. ჩოგბურთი.** საკავშირო ტურნირი სსრ კავშირის გმირის გრომოვის პრიზზე. **მინსკი.**
**22-26. ველოსპორტი (ტრეკი).** სსრ კავშირის პირველობა 1970-72 წწ. დაბადებულ იუნიორთა შორის. 4 კილომეტრზე წყვილთა და 4-დღიანი ჯგუფური რბოლა. **ლვოვი.**
**22-27. ციგაობა.** საკავშირო შეჯიბრება. **სვერდლოვსკი.**
**24-27. კალათბურთი.** სსრ კავშირის 1988 წლის ჩემპიონატი I ლიგის ქალთა გუნდებს შორის. II წრე, V ტური. **თბილისი.**
**25-27. ველოკროსი.** საქართველოს ჩემპიონატი. **ვანი.**
**25-29. სამთო-სათხილამურო სპორტი.** რესპუბლიკური შეჯიბრება „სეზონის გახსნის" პრიზზე. **ბაკურიანი.**
**25-29. ველოსპორტი (ტრეკი).** საკავშირო შეჯიბრება. გიტი, ვაჟთა და ქალთა სპრინტი. **მოსკოვი.**
**28-29. თხილამურებით ხტომა.** რესპუბლიკური შეჯიბრება ახალგაზრდებს შორის. **ბაკურიანი.**

## „გრასჰოპერსი" დაისაჯა

**შვეიცარიის** საფეხბურთო კლუბს „გრასჰოპერსს" მისი გულშემატკივრების უდისციპლინობის გამო უეფა-ს სადისციპლინო კომისიამ მკაცრი სასჯელი გამოუტანა, ეს სანქცია შემდგომში დაამტკიცა უეფა-ს სააპელაციო კომისიამაც.

16 სექტემბერს ციურიხში შედგა უეფა-ს თასის მატჩი „გრასჰოპერსსა" და მოსკოვის „დინამოს" შორის, როგორც თამაშის არბიტრმა ესპანელმა ხ. პერეს-სანჩესმა თავის პატაკში აღნიშნა, პირველი ტაიმის დასასრულს გულშემატკივრებმა ტრიბუნებიდან დაიწყეს სხვადასხვა საგნების სროლა, შემდეგ კი, როცა მეტოქეები გასახდელისკენ მიემართებოდნენ, მაყურებელთა ერთი ჯგუფი ილანძღებოდა და ემუქრებოდა მსაჯს, ზოგიერთნი სასამსახურო ოთახებშიც კი შეიჭრნენ.

სააპელაციო კომისიამ თავის დადგენილებაში აღნიშნა, რომ „გრასჰოპერსის" ხელმძღვანელობამ რამდენადმე მაინც დასაბუთებული არგუმენტები ვერ მოიყვანა ამ ინციდენტის გასამართლებლად, ამიტომაც მსჯავრი უცვლელად დატოვა: „გრასჰოპერსის" სტადიონი დისკვალიფიცირებულია ერთი მატჩით: ევროპული ტურნირის მატჩის ჩატარება გუნდს მომავალში მოუწევს სხვა ქალაქის სტადიონზე, ციურიხიდან 150 კილომეტრის დაშორებით.

სააპელაციო კომისიამ სხვა გადაწყვეტილებებიც გამოიტანა: 3 მატჩით დისკვალიფიცირებულია იტალიის „ნაპოლის" ფეხბურთელი კარნევალი, რომელიც მადრიდის „რეალთან" ჩემპიონთა თასის მატჩში მინდვრიდან გააძევეს, მაგრამ ამავე დროს შეამცირა ჯარიმის თანხა, რომელიც „ნაპოლის" უნდა გადაეხადა თავისი გულშემატკივრების უდისციპლინო საქციელისთვის.

თასების მფლობელთა თასის მატჩში იუგოსლავიის „ჰაიდუკსა" და საფრანგეთის „მარსელს" შორის, რომელიც 5 ნოემბერს შედგა, იუგოსლაველთა გულშემატკივარმა მინდორზე ბომბი ისროლა, რის გამოც თამაში რამდენიმე წუთით შეწყდა. უეფა-ს სადისციპლინო კომისიამ „ჰაიდუკს" ორი წლით აუკრძალა ევროპის საკლუბო გათამაშებაში მონაწილეობა. ეს საკითხი სააპელაციო კომისიას უნდა განეხილა, მაგრამ საქმის გარჩევა მან შემდგომი დროისთვის გადასდო.

# „ჰონდა" შუქლაზე სწრაფია

**15 ნოემბერს** გაიმართა „ფორმულა-1"-ის ავტომობილებით რბოლაში 38-ე მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო, მეთექვსმეტე ეტაპი. გათამაშდა ავსტრალიის „დიდი პრიზი".

როგორც იცით, ავსტრიელმა გერჰარდ ბერგერმა სტარტიდან ფინიშამდე არავის დაუთმო პირველობა და თავისი მესამე „დიდი პრიზი" მოიპოვა. შეჯიბრების შემდეგ პრესკონფერენციაზე მან თქვა: „მართალია „ჰონდას" ვერაფერი შეედრება, მაგრამ ვეცდებით „ფერარის" ძველი დიდება დავუბრუნოთ. ყოველ შემთხვევაში პირველი ნაბიჯი უკვე გადადგმულია".

გთავაზობთ მეთექვსმეტე ეტაპის სრულ შედეგებს: 1. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია) — 9, 2. მიქელე ალბორეტო (იტალია) — 6 (ორივე — „ფერარი"); 3. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „ბენეტონ ფორდი") — 4; 4. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტაირელ ფორდ კოსვორტი") — 3; 5. იანიკ დალმა (საფრანგეთი, „ლოლა ლარუს-კალმელი") — 2; 6. რობერტო მორენო (ბრაზილია, „ა-ჯე-ეს ფორდ კოსვორტი") — 1.

როგორც ხედავთ, ბოლო ორი ადგილი ნაკლებად ცნობილმა სპორტსმენებმა დაიკავეს, მაგრამ მსაჯთა გადაწყვეტილებით მათ ჩასათვლელი ქულები ვერ მიიღეს, ვინაიდან მათი დებიუტი მხოლოდ წლის ბოლოს შედგა.

მსოფლიო ჩემპიონობა კი, როგორც იცით, ბრაზილიელმა ნელსონ პიკემ მოიპოვა. მეორე და მესამე ადგილებზე არიან ინგლისელი ნაიჯელ მენსელი და ჩემპიონის თანამემამულე აირტონ სენა. სამივე „ჰონდას" ფირმის ავტომობილით ასპარეზობდა, ოღონდ პიკე და მენსელი „ვილიამსით", სენა კი — „ლოტუსით". ეს იაპონელ კონსტრუქტორთა პირველი ასეთი დიდი წარმატებაა: „ჰონდამ" ჩასათვლელი ქულები 16 ეტაპიდან თხუთმეტში მიიღო. „ვილიამსმა" დააგროვა 137 ქულა, „ლოტუსმა" — 64.

მსოფლიოს ექსჩემპიონ ალენ პროსტისთვის ასპარეზობა კარგად დაიწყო — პირველი სამიდან მან ორი „დიდი პრიზი" მოიგო, მაგრამ შემდეგ დიდხანს ბედი არ სწყალობდა. პორტუგალიაში, როგორც იქნა, პროსტმა 28-ე გამარჯვება იზეიმა და ყველაზე შედეგიანი სპორტსმენის სახელით შევიდა ისტორიაში.

წლევანდელ ჩემპიონატში მეხუთე ადგილი დაიკავა ახალგაზრდა ავსტრიელმა ავტომრბოლმა გერჰარდ ბერგერმა. იგი დიდხანს ჩრდილში იყო მოქცეული, მაგრამ შარშან მექსიკაში თავისი პირველი „დიდი პრიზი" მოიპოვა და სპეციალისტების ყურადღება მიიპყრო. იგი „ბენეტონ ბე-ემ-ვეს" ავტომობილით ასპარეზობდა. ენცო ფერარიმ ბერგერი შვედ სტეფან იოჰანსონის მაგივრად მიიწვია გუნდში. იაპონიისა და ავსტრალიის ტრასაზე მოპოვებული გამარჯვებით ავსტრიელმა სპორტსმენმა დაამტკიცა, რომ მას სამართლიანად თვლიან სახელგანთქმული ნიკე ლაუდას მემკვიდრედ.

სულ ჩემპიონატში 26-მა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის ექვსმა ვერც ერთი ქულა



ვერ მოიპოვა. ესენი არიან: კრისტიან დანესი (გფრ, „ცაკსპიდი"), პასკალ ფაბრი (საფრანგეთი, „ა-ჯე-ეს ფორდ კოსვორტი"), ალექს კაფი (იტალია, „ოსელა,)" ადრიან კამპოსი (ესპანეთი), ალექსანდრო ნანინი (იტალია, ორივე — „მინარდი") და პიერკარლო გინძანი (იტალია, „ლიჟიე მეგატრონ ბე-ემ-ვე").

ჩემპიონატის საბოლოო, შემაჯამებელი ცხრილი ასე გამოიყურება.

1. ნელსონ პიკე (ბრაზილია, „ვილიამს ჰონდა") — 73 ქულა.
2. ნაიჯელ მენსელი (ინგლისი, „ვილიამს ჰონდა") — 61.
3. აირტონ სენა (ბრაზილია, „ლოტუს ჰონდა") — 57.
4. ალენ პროსტი (საფრანგეთი, „მაკლარენ პორშე") — 46.
5. გერჰარდ ბერგერი (ავსტრია, „ფერარი") — 36.
6. სტეფან იოჰანსონი (შვეცია, „მაკლარენ პორშე") — 30.
7. მიქელე ალბორეტო (იტალია, „ფერარი") — 17.
8. ტიერი ბუტსანი (ბელგია, „ბენეტონ ფორდი") — 16.
9. ტეო ფაბი (იტალია, „ბენეტონ ფორდი") — 12.
10. ედი ჩივერი (აშშ, „ეროუზ მეგატრონ ბე-ემ-ვე") — 8.
11. სატორუ ნაკაჰიმა (იაპონია, „ლოტუს ჰონდა") — 7.
12. ჯონათან პალმერი (ინგლისი, „ტაირელ ფორდ კოსვორტი") — 7.
13. რიკარდო პატრეზე (იტალია, „ბრებემ ბე-ემ-ვე") — 6.
14. ანდრეა დე ჩეზარისი (იტალია, „ბრებემ ბე-ემ-ვე") — 4.
15. ფილიპ სტრაიფი (საფრანგეთი, „ტაირელ ფორდ კოსვორტი") — 4.
16. დერეკ უორვიკი (ინგლისი, „ეროუზ მეგატრონ ბე-ემ-ვე") — 3.
17. ფილიპ ალიე (საფრანგეთი, „ლოლა ლარუს-კალმელი") — 3.
18. მარტინ ბრანდლი (ინგლისი, „ცაკსპიდი") — 2.
19. რენე არნუ (საფრანგეთი, „ლიჟიე მეგატრონ ბე-ემ-ვე") — 1.
20. ივან კაპელი (იტალია, „მარჩ ფორდ კოსვორტი") — 1.

კონსტრუქტორთა პირველობაზე ადგილები ასე განაწილდა:

1. „ვილიამს ჰონდა" — 137 ქულა; 2. „მაკლარენ პორშე" — 76; 3. „ლოტუს ჰონდა" — 64; 4. „ფერარი" — 53; 5. „ბენეტონ ფორდი" — 28; 6. „ეროუზ მეგატრონ ბე-ემ-ვე" — 11, 7. „ტაირელ ფორდ კოსვორტი" — 11, 8. „ბრებემ ბე-ემ-ვე" — 10, 9. „ლოლა ლარუს-კალმელი" — 3; 10. „ცაკსპიდი" — 2, 11. „მარჩ ფორდ კოსვორტი" — 1, 12. „ლიჟიე მეგატრონ ბე-ემ-ვე" — 1.

ავსტრალიაში, „ვილიამს ჰონდას" ფირმის ავტომობილით ნელსონ პიკესთან ერთად საასპარეზოდ გამოვიდა იტალიელი რიკარდო პატრეზე. მან ტრავმირებული ნაიჯელ მენსელი შეცვალა. მომავალ წელს იტალიელი და ინგლისელი სპორტსმენი „ვილიამს პორშეს" ფირმის ღირსებას დაიცავენ. „ბრებემ ბე-ემ-ვეს" კვლავ იტალიური დუეტი ეყოლება: ანდრეა დე ჩეზარისი პირველ ნომრად, მეორე კი იქნება წლევანდელი ჩემპიონი „ფორმულა 3000"-ის ავტომობილებით რბოლაში, ახალგაზრდა სტეფანო მოდენა. ასე რომ, მომავალი 39-ე მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც ტრადიციულად ბრაზილიის „დიდი პრიზის" გათამაშებით დაიწყება 20 მარტს ბევრ საინტერესო სიახლეს გვპირდება.

**დავით ჩუბინიძე.**

## 2-7 დეკემბერს, ნიუ-იორკში

2-დან 7 დეკემბრამდე ნიუ-იორკში გაიმართება მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირი, რომლის გამარჯვებულს „გრან პრი" მიენიჭება. საინტერესოა, რომ შეჯიბრებაში უკვე მეშვიდედ იღებს მონაწილეობას მსოფლიოს №1 ჩოგბურთელი ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), რომელსაც 4 გამარჯვება აქვს მოპოვებული, სწორედ იმდენი, რამდენიც წარსულში გამოჩენილ რუმინელ ჩოგბურთელ ილიე ნასტასეს. ისე, რომ, ახლა ლენდლს რეკორდის დამყარების საშუალება ეძლევა.

## „სპორტპროგნოზი"

**48-ე ტირაჟის შედეგები (28-29 ნოემბერი)**

1-1, 2-2, 3-X, 4-2, 5-1, 6-1, 7-1, 8-1, 9-2, 10-2, 11-2, 12-2, 13-1.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

## „სპორტლოტო"

**სპორტული** ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა 22 ნოემბერს გამართული „სპორტლოტოს" მორიგი 47-ე ტირაჟების შედეგები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** გაიყიდა 1.567, 601 ბარათი.

ექვსი ციფრი ვერავინ გამოიცნო, ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (16 ბარათი) მოგება 3240 მანეთია, ოთხისთვის (1493) — 47, სამისთვის (28279) — 4.

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** გაიყიდა 15.359.997 ბარათი.

ხუთი ციფრის გამოცნობისთვის (82 ბარათი) მოგება 5630 მანეთია, ოთხისთვის (13483) — 70, სამისთვის (299508) — 3.

* * *

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს" მორიგი, 48-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-იდან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 11 (ფრენბურთი), 25 (საციგაო სპორტი), 37 (აკრობატიკა), 39 (ბადმინტონი).

**„სპორტლოტო 5 36"-იდან:** 7 (კლასიკური ჭიდაობა), 15 (ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობა), 26 (თანამედროვე ხუთჭიდი), 27 (მშვილდოსნობა), 33 (ფეხბურთი).

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

ინდექსი: 66425. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუს ხში, ხოშარაულის ქ. 29. უე 07252